ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N290

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2020 წ

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში ,,შემსყიდველად” წოდებული), მისი დირექტორის **ლაშა კილაძეს** სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში ,,მიმწოდებლად” წოდებული), დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ***მიხეილ მაღლაკელიძის*** სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან 2020 წლის 10 დეკემბერს მიღებული თანხმობის SMP200005078 საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით ,,მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ,,შემსყიდველის” ნარკოტიკული საშუალებების დაცვა - გაცილება საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (**CPV79713000).**

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ,,შემსყიდველი” იღებს ვალდებულებას ,,მიმწოდებელს” გადაუხადოს გაწეული დაცვის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ,,შემსყიდველი” ვალდებულია:

2.1.1. აცნობოს ,,მიმწოდებელს“ დაცვა-გაცილების შესახებ ერთი დღით ადრე;

2.1.2.“შემსყიდველის“ ნარკოტიკული საშუალებების ტრანსპორტირება განახორციელოს მის მიერ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და საკუთარი ხარჯით;

2.1.3. დაცვა-გაცილების დაწყებამდე, ,,შემსყიდველის“ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა მოაწეროს ხელი ,,მიმწოდებლის“ მიერ წარდგენილ შესაბამის აქტებს და დოკუმენტებს;

2.1.4. შეუქმნას ,,მიმწოდებელს“ სამუშაო პირობები;

2.1.5 ,,მიმწოდებლის“ თანამრომლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით ,,დაცვას“.

2.1.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული ღირებულების ,,მიმწოდებლისთვის” გადახდა მოახდინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მიმწოდებელი” ვალდებულია:

2.2.1 დაცვა-გაცილებისთვისთვის გამოყოს სპეციალური შეფერილობის, სანათი და ხმოვანი მოწყობილობით აღჭურვილი ,,დაცვის” ავტომობილი;

2.2.2. ,,შემსყიდველის“ ნარკოტიკული საშუალებების დაცვა - გაცილება განახორციელოს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოძრავი ტვირთების და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს, მოძრავი ტვირთების დაცვის განყოფილების ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი თანამშრომლებით;

2.2.3 `პოლიციის შესახებ~ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

2.2.4 უზრუნველყოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ,,შემსყიდველის” ნარკოტიკული საშუალებების დაცულობა და მისი უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ფორს-მაჟორული შემთხვევებისა;

2.2.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია არ განახორციელოს დაცვა-გაცილება თუ ,,შემსყიდველის" მიერ არ შესრულდება ხელშეკრულების 2.1.4. ქვეპუნქტის მოთხოვნები და ,,შემსყიდველი" არ შეასრულებს ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და პირობები;

3.1 ხელშეკრულების სერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 35 000,00 (ოცდათხუთმეტიათასი) ლარს.

3.2. დაცვა - ესკორტირების მომსახურების ღირებულება, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შეადგენს:

კატეგორია		**მომსახურების ღირებულება ერთ ავტომობილზე**		
		20 კმ-ის ჩათვლით	**20 კმ-ის ზევით 100 კმ-ის ჩათვლით**	**100 კმ-ის ზევით**
2	ფიზიკურ პირთა გაცილება (ექსკორტირება); სამუზეუმო ექსპონატების, ნარკოტიკული საშუალებების, ზენორმატიული (მძიმეწონიანი), საშიში და სხვა ტვირთების დაცვა-გაცილება	**200 ლარი**	**200** ლარი + 20 კმ-ს ზევით ყოველ 1 კმ-ზე **6** ლარი	**680** ლარი + 100 კმ-ს ზევით ყოველ 1 კმ-ზე **3** ლარი

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, გაწევიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.4. მომსახურების სრულ ღირებულებაში შედის ამ მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული დაცვა-გაცილების მომსახურების ღირებულება ან/და ამავე მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას დამატებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1., 4.2. და 4.3. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

3.5. მიმართულების დაკონკრეტება მოხდება შემსყიდველის მიერ, რაც მიმწოდებელს ეცნობება ერთი დღით ადრე მომსახურების გაწევამდე.

3.6.ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (მუხლი 398-ე) განსაზღვრული შემთხვევებისა. 398-ე მუხლით განსაზღვრული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დასაშვებია საერთო ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ფარგლებში.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. გამოძახების საფუძველზე ან მხარეებს შორის შეთანხმებულ დროზე ,,მიმწოდებლის" ეკიპაჟის ადგილზე გამოცხადების შემდეგ (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერებით), ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებების დაცვა - ესკორტირების განხორციელების ,,შემსყიდველის" მიზეზით ორ საათზე მეტით გადადების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარი და ყოველ მომდევნო გადაცილებულ 1 (ერთი) საათზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

4.2. დაცვა-ესკორტირების ,,შემსყიდველის" მიზეზით (გარდა ფორსმაჟორისა) ორ საათზე მეტით შეწყვეტის შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული დაცვა-ესკორტირების მომსახურების ღირებულება მთლიანი მარშრუტის გათვალისწინებით და პირგასამტეხლო ერთჯერადად 300 (სამასი) ლარი და ყოველ მომდევნო გადაცილებულ 1(ერთი) საათზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

4.3. „შემსყიდველის", „შემსყიდველის" წარმომადგენლის ან გასაცილებელი ავტომანქანის მძღოლის მიზეზით

დაცვა-გაცილების შეწყვეტის შემთხვევაში, „შემსყიდველი"“ ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული დაცვა-გაცილების მომსახურების სრული ღირებულება და პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარი თითოეულ ეკიპაჟზე;

4.4. „შემსყიდველის“, „შემსყიდველის“ წარმომადგენლის ან გასაცილებელი ავტომანქანის მძღოლის მიზეზით დაცვა-გაცილების შეწყვეტის შემთხვევაში, „დაცვა“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას „დამკვეთისათვის“ მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის;

4.5. ,,მიმწოდებლის“ მიზეზით დაცვა-გაცილების 2 (ორი) საათზე მეტი ვადით შეფერხების შემთხვევაში, დაცვა ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ამ მუხლის 4.1. პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ფორს-მაჟორში იგულისხმება სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ბლოკადა, აჯანყება, სახელმწიფოს მიერ მიღებული შემზღუდავი/ამკრძალავი სამართლებრივი აქტიები ან/და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც: ა) არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია; ბ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე; გ) არ არის გამოწვეული ან/და დაკავშირებული მხარეთა შეცდომებთან, დაუდევრობასა თუ გულგრილობასთან; დ) დაიწყო ან განვითარდა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და რომელთა წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ. ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს-მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

5.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება (ფორს-მაჟორი);

5.3. მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება არა აქვს მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზზე;

5.4. დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილ ხელშემშლელ გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები;

5.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის წერილობითი დადასტურება, რომელიც გაცემული იქნება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

მუხლი 6. მომსახურების გაწევის და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ვადაა 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

7.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებაც მეორე მხარეს აცნობებენ 10 (ათი) დღით ადრე;

7.3 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

7.4. ნებისმიერი შეტყობინება მასზე თანდართულ დოკუმენტთან ერთად, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხრის მისამართზე, მხარეები უფლებამოსილნი არიან გამოიყენენონ სატელოფონო კომუნიკაციის საშუალებებიც, რაც შემდგომში უნდა დადასტურდეს ამ პუნქტში აღნიშნული სახით;

7.5. ელექტრონული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საათისა მიმღები მხარე ვალდებულია ასევე ელექტრონულად დაუდასტუროს გამგზავნ მხარეს შეტყობინების მიღება. სხვა შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად მასში გათვალისწინებული პირობებით.

7.6. ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება ,,შემსყიდველთან", ხოლო ორი ,,დაცვასთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობისა და	შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი,
ნარკომანიის პრევენციის ცენტრი",	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–11 კმ
ს/კ №404945164	ს/კ 211350928
ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21ა	
სს ,,თი ბი სი ბანკი"-ს	მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ა/ა №GE75TB7810436020100002	მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707117292
გენერალური დირექტორი	თავმჯდომარის მოადგილე
_____	_____
/ლ. კილაძე/	/ მ. მაღლაკელიძე/

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2020.12.24 10:58:44 +04'00'